

მეცნიერული ლიტერატურა

საქართველოს
ლიტერატურა

მეცნიერული ლიტერატურა

№ 10

თბილისი, 1915 წ.

241



მომღერალი



შ ი ნ ა ა რ ს ი:

I—მომღერალი,—სურათი კაულბახისა	1
II—ნაკადულის მკითხველები:—1, შალვა ჩაჩანიძე,—2 ჭ 3, სიკო და შალვა გოგიჩაიშვილები,—ჩაილური, 4, ლადო დონაძე,—ქ. ოზურგეთი,—5 ჭ 6, ლევარსი და მინადორა სიხარულიძეები,—ჩოხატაური.	3
III—ბაკია,—ლექსი შიო მღვიმელისა	4
IV—გრძნეული ბატი,—გიორგისა	6
V—ქიკ-ქიკ-ქიკ-ქიკ!—ლექსი დავ. ელიოზიშვილისა	13
VI—ბრმა დედოფალა,—ლევ. გძელიძისა.	17
VII—მკითხველების წერილები: თამარის დღეობა	22
VIII—შემოწირულება	24

„სადასულის“



მკითხველები



ბ ა ჭ ი ა

(ზემ პიტორა შეგობარს - დიომიდე ანთიმეს.)



წუქსმა შემბურო მძინარე,
მინდურის ბაჭია ჰატარა,
გამომისვია კალთაში,
სოფელსე ჩამომატარა.

რა დამინახეს ბაღლებმა,
შეექნათ ჟივილ-ხივილი;
ზოგს „უოჩად, ბიჭო!“ სცდებოდა,
ზოგს—სიბრალული, ჩივილი.

ზოგი კი გაკვირვებული
შორიდან მითვალთვალებდა;
მათ რა იცოდნენ, თუ გული
რა რიგად მიკანკალებდა.

— ვაი შენ დედის სიმწარეს!—
 ვაძიხსოდნენ ქალები:
 — ვინ იცის, როგორ დაგეძებს
 მისი გული და თვალები...

ჩემმა ბედმა და იღბალმა
 ხელიდან ხელში იარა,
 და როგორ გაუჩნდი ქალაქში—
 მე არა გამოვიარა.

დღეს შენთანა ვარ, ზატარავ,
 მიუგავებ, შეაღწერსები:
 ვკ ტკბილი სვეენა—ლიკლიკი
 გულს მხვდება, როგორც ნემსები.

მწვანე ბალახსაც მიზიდავ,
 მასმევ რმეს დილით, ღამითა;
 მაგრამ რა: მანც ტყვე შექვია:
 რა გამოვიდა ამითა?!

გულს ვახა ჭამა ახარებს,
 ან სხვის ბაღა და სსვა ვარდი,
 თავისუფალი ცხოვრება,
 თავისუფალი ნავარდი.

გამიშვი, მენი ჭირიძე,
 გამიშვი—ჩემთვის წავიდე,
 ხან ეანის ზირებს მოვედო,
 ხან გორაკებზე ავიდე.

ჯერ სწორედ არც კი გამძღარვარ
 ღამას მინდვრების ცქერითა,


ნაკადულების ჩუსჩუსით
 და ტოროლების ძღერითა.

იქნება დედაც ვინაჲნა
 როგორმე აღზღბედათა;
 ნუღარ დამიჭერ, ზატარავ,
 თუ შენც დედა გწამს დედათა.

ცრემლ-მორეულმა კმაწვილმა
 სელი აუსვა-დაუსვა,
 ტებილად დაჭკოცნა ბაჭია
 და ისევ მინდვრად გაუშვა.

შიო მღვიმელი





გრძნეული ბატი

(ზღაპარი).

უო და ზრბ იუო-რა, იუო ერთი
ობოლი ბიჭი. დედა ძალიან ად-
რე მოუკვდა და მისმა ძამამ მეორე ცოლი შეირთო.

დედინაცვალი—თვალში ნაცარიო,—ნათქვამია. ის დალო-
ცვილის შვილი დიდიდან საღამომდის იმის ცემა-ტეკვის მეტს
არბს აკეთებდა. ლანძღვა-გინებასაც, რასაკვირველია, თავის
რიგზე არ აკლებდა ხოლმე:—შე ასეთო, შე ისეთო,—წადი,
წეალი მოიტანე! წადი, შემა მოიტანე! ეს გააკეთე,—ის გაა-
კეთე!

ობოლიც, რაც შეეძლო, ცდილობდა, ძაგრამ თავის დედი-
ნაცვალს ვერაფერი ასინამოვნა.

სამი თხა ჭეჯდათ, ხუთი ბატი და ათი დედა-ინდოური.

— წადი, წაიუვანე ეს თხები, ბატები და ინდოურები მინ-
დორში, ამოვე და საღამოზე ადრე მორეკე, რომ წეალი მოი-
ტანო წეაროდან; ერთი გუდურა ფინისიც უნდა მოარბენინო:
ხვალ ჰური ძაქვს გამოსაცხობიო...—ეტეოდა ხოლმე დედინა-
ცვალი:—არ გაგიწერეს ღმერთი, არა დაჰკარგო-რა, ან არ დაი-
კვიანო, თორემ ტეავს გაგამრობო.

ტეავისა-კი რა მოგახსენოთ, და თქემს-კი ბლომად დაბ-
ძრობდა ხოლმე, თუ რამეზე გაჯავრდებოდა.

ერთხელ ამნაირად დიღა-ადრინან წამოდგა ჩვენი ჰატარბ
მწეეჰსი, აიღო თავისი გუდა-ნაბადი, ჰატარბ კავიანი ჯოხი

და გაუდგა გზას. თავისი „ფარაც“, რასაკვირველია, წინ გამოსდგა რეკა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, გავიდა ერთ მწვანით და ფენილ მინდორზე. ამ მინდორს სამი მხრიდან ჭალა ერტყა; მეოთხე მხრიდან-კი დიდი ტბა იყო. მისვლის უმაღლეს თხები ჭალას ეცნენ და ნეკერს დაუწვეს კორტნა; ინდოურები მინდორში გაიფანტნენ და ბალახს კორტნიდნენ. ბატებს წელის დანახვაზე სულ თავბრუ დაესხათ სინარულით; ვეღარ მოითმინეს, ტბაში შეცურდნენ. მარდად მოუსვენს თავის ბრტველი, ნინბისებური ფეხებით და ერთ თვალის დანახვაზე შიშო შუა ტბაში განდნენ. ობოლი ძალიან შეწუნდა ამის გამო: აღარ იცოდა—ბატებისთვის მიეხედნა, თვებისთვის, თუ ინდოურებისთვის. ბატები სხვა დროსაც წასულან წყალში, ამაზე უფრო შორს, მაგრამ, დაუძახებდა თუ არა „ბული-ბული“-ს, მაშინვე ნაპირისკენ გამოსწვედნენ სოლმე. ასლა-კი მის „ბული-ბული“-ზე ეურებსაც აღარ იბერტყავდნენ და უფრო შორს მისცურავდნენ ტბაში. „მოძივით, და თვითონვე გამოვლენო,“ — გაიკეთა გული ობოლმა.

ასლა თხებისკენ გაიქცა. ისინიც შუა ჭალას სცემოდნენ. სცადა მათი გამორეკა, მაგრამ თხები სხვა-და-სხვა მხარეს გარბოდნენ და ვერა გააწეორა. მერე ინდოურებს მიუბრუნდა. ინდოურებიც ისე გაფანტულიყვნენ მინდორზე, რომ ვერც იმათი მოგროვება მოახერხა. დადონდა ობოლი; რბენით ძალზე მოიქანცა; წეაროს ზირს დაჯდა, რომელიც იქვე გამოჩნდნენ სებდა და ტუის ზირ-ზირ ბალახებში ლაპარაკით და ბუტბუტით მირაკრავებდა, მიეშურებოდა ტუისკენ. ემაწვილი გულმოღვინედ ეურს უგდებდა წელის რაკრავს; გაერთო ფიქრებში... ცოტა ხნით დავიწყებდა მისცა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა.

წეარო კი განანგრძობდა ბუტბუტს. ის თითქოს ვიდაცანს გაეჯავრებინა და მიეჩქარებოდა ტუისკენ საჩივლელოდ. არ

იცოდა, რომ ტბა სარბი იყო, გაუმაძღარი:.. ის ზირველს მასვე შთანთქავდა, ერთ წუთს გადაულანჯავდა; მდინარე-კი მის-
 გან სამართალს მოელოდა!

— მე ვინლა მიემართო საშველად?— ფიქრობდა თავის გულში ზატარა ობოლი. ვინ შემიბრალეებს? ვინ მომესმარება? ამ ფიქრებში გართული მიწვა ბალახებზე და მიემინა. დაღალულს და გულ-ნაკლულს მაგრა დაეძინა. როცა გამოვღვიძა, მზე გადასული იყო. მარდად წამოსტა, მიისყდ-მოისყდა და ძლიერ გაკვირდა: მისი „ფარა“ მთლად მოკრებილიყო და უცდიდა ზატრონის გაღვიძებას, რომ სახლში წაეყვანა. ობოლს ძლიერ გაესარდა; მაგრამ როდესაც დასთვალა, ელდა ეცა:— ერთი ბატი ვეკლახე დიდი, „თავშავა“ ბატი, აღარსად იყო...

— ახლა კი წასულა ჩემი საქმე, — სთქვა ობოლმა და სა-
 შინლად დაღონდა.

ბევრი ეძება, ეძახა, მაგრამ ველარ გაიგო-რა.

— მე სახლში ველარ მივალ, თორემ დედინაცვადი და-
 მღრჩობს, მოძქლავს. ისევ სჯობია ამათ მივრეკავ სახლში ჩუმად; მე კი აღარ გამოვჩნები, საითმე გადაუიკარგები. ასეც მოიქცა. თხები, ბატები და ინდოურები მირეკა სახლთან, თვი-
 თონ მოჭკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჭქონდა, და ჭაღას შეაფარა თავი. ამასობაში კარგად დაღამდა.

ობოლი გავიდა ისევ ტბის ზირს, დაჯდა და ცქერა დი-
 წყო იმ მხარეს, საითაც ბატებმა გასწიეს ცურვით. ამ დროს მთვარე ამოსული იყო და კაშკაშებდა. ტბის ზედა ზირი ვერ-
 ცხლის ფერად ბზინავდა...

დიდხანს იუურებოდა ბავშვი ტბისკენ. უცებ თვალის მოჭკრა რაღაც თეთრ წერტილს. გულში თითქოს იმედი იკრძნო: „იქნება ეს ჩვენი ბატი იუოსო“, და მორთო სმა-ძაღლა ძა-
 სილი: ბული—ბული—ბული!..

წერტილი თან-და-თან უახლოვდებოდა და იზრდებოდა. ჰოლოდოვს გააჩნია, რომ მართლა ბატი იყო, მხოლოდ იმით ბატს სრულიად არა ჰგავდა. ეს უფრო ლამაზი იყო, იმაზე დიდი, და მეტად მოსდენილად ეჭირა კისერი. მისი უბიწო, თეთრი ბუმბული ელვარებდა და სინათლეს ჰფენდა არე-მარეს.



ბავშვი განცვიურებული უეურებდა საკვირველ ბატს, რომელიც მძიმედ უახლოვდებოდა ნაპირს.

ბოლოს გაჩერდა შორი-ასლოს, ბავშვის ჰირდაპირ, და ცქქრა დაუწყო თავისი მეტად გონიერი თვალებით.

— ზატარა ბავშვო! — მიძარბა მან ობოლს ადამიანის ვნით: მე გრძნეული ბატი ვარ. მე ბევრი ისეთი რამ შემიძლია, რაც არც ადამიანებს და არც თქვენ, ბატებს, არ შეგიძლიათ გააკეთოთ. თქვენი „თავშავა“ ბატი ჩვენთან არის, გრძნეულ ბატებთან. იმან აღარ მოისურვა სახლში დაბრუნება. მხოლოდ შენ მხლიან ებრძლები: მეტად გუდაკეთილი ბავშვი არისო. მე მთხოვა შეგატეობინო, რომ მას ტყუილად ნუღარ დაემკებ, ნუღარ ეწვალები: ის სახლში აღარ მოვა და ვეღარც იზოვნით. ახლა ჩვენ, გრძნეული ბატების გუნდი, მივდივართ გრძნეულთა ქვეყანაში. თქვენი „თავშავაც“ ჩვენთან წამოვა და იქ დარჩება.

ზატარა ბავშვი გაჩუმებულიყო და გაშტერებული უეურებდა მოლაპარაკე ბატს.

ბოლოს მოახერხა სიტყვის თქმა და მიძარბა მას:

— მშვენიერო ბატი! ეს ეველა ძალიან კარგი, მაგრამ მე რაღა ვქნა ახლა?.. მე შიშით სახლში ვეღარ მივალ და მასწავლე მაინც, როგორ მოვიქცე, ან და საით წავიდე!..

— საწყალო ბავშვო! დიდად ვწუხვარ, რომ ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილხარ, მაგრამ არ ვიცი—რით დაგვემარო. წამოდი შენც იმ უცხო ქვეყანაში, სადაც ჩვენ მიუღივართ. შენც ნახავ გრძნეულთა ქვეყანას; მერე ისევ დაბრუნდები. ამასობაში თქვენებს დაავიწყდებათ კიდევ ბატის დაკარგვა და აღარაფერს გატყვიან.

— მე ძლიერ მომშონს შენი სიტყვა, — უთხრა ობოლმა; დიდი სისარულით წამოვიდოდი, მხოლოდ არ ვიცი, როგორ მოვახერხო: მე არ ვიცი თქვენსავით ფრენა და ცურვა...

— მაგაზე ფიქრი ნუ გაქვს, — მიუგო ბატმა: — მე თვითონ წავივებ. მოდი, შემაჯექ სურგზე, და გავსწიოთ სხვებთან ერთად. ერთი რამ კიდევ უნდა გიჩინო; წადი სახლში და ჰატარა სურჯინი მოიტანე; იმ ქვეყანაში, სადაც ჩვენ მიუღივართ, ბევრია ოქრო-ვერცხლი და სხვა-და-სხვა თვალმარგალიტი. თქვენში ეველა ესენი ძალიან ძვირად ფასობს. იქ კი არაფერ ამას ურადლებას არ აქცევენ. აბა, ნუღარ დაიცივანებ. მე აქ მოგიცდი. მოირბინე საჩქაროდ და გავსწიოთ.

ბავშვმა სწრაფად მოჰკურცხლა სახლისაკენ, ზუმად შეიძარა დერეფანში. იქვე ნახა ხეზე ჩამოკიდებული ჰატარა სურჯინი, გადაიკიდა მხარზე და გაექანა ისევ ტბისკენ. ბატი იმავე ალაგას უცდიდა. გამოვიდა ნაპირზე, შეისვა ბავშვი სურგზე და გააქანა ღრუბლებისკენ. ცოტა ხნის შემდეგ დაეშენებ ისინი იმ ალაგას, სადაც სხვა მისთანა ბატები მოგროვილიყვნენ და უცდიდნენ ამხანაგს. მათში ვრია „თავშავაც“. მერე აფრინდნენ ეველანი და გასწიეს უცხოეთისკენ.

ბევრი ზღვა, მთები და მინდვრები გადაიარეს. ბოლოს მიაღწენ ერთ კუნძულს. ამ კუნძულზე დაეშენენ. საუცხოო

რამ იყო ეს ადგილი! ნამდვილ სამოთხეს ჰგავდა: ამწვანებული, სწავადასწავა ვეგვილებით მობიბინებული შინდურები, დაბურული ტყეები, რომელშიაც ათას-ნაირი ფერად-ფერადი და მეტად ლამაზი ფრინველები საამურად გალობდნენ; მშვენიერი ბაღები სავსე იყო ათასგვარ ხილით, რომელიც ჩვენს ობოლს თავის დღეში არ ენახა. ის მეტად გაცხებულ იყო ასეთი სხანსობით და თვალებს აქეთ-იქით აცვავებდა.

— აი, ეს არის გრძნეულთა ქვეყანა, — უთხრა ობოლს ბატმა. აქ ვველაფერი უხვად არის, რადგან ხალხი მეტად გონიერი და გრძნეულია. აქაურ ხალხს ბევრი ისეთი რამე შეუძლია, რაც თქვენებურებს ფიქრადაც არ მოუვათ. აქ არ იცინან, რა არის სიღარიბე; ვველა ბედნიერად ცხოვრობს.


— ასლა შენ უნდა წახვიდე ზირღანი აქაურ ხელმწიფესთან და იმის სტუმრად გამოცხადდე, თორემ ისე შეიძლება ვინმემ დაგიძავოს რამე, რადგან უცხოელი ხარ, — უთხრა ბატმა.

— მერე ასეთი ჩამოწეწილი, დაგლეჯილ-ქალაქნიანი როგორ მივიდე ხელმწიფესთან? — ჰკითხა ბავშვმა.

— მაგის დარდი ნუ გექნება: ეგ სულ ადვილი საქმეა... მოდი, შემაჯექ სურგსე და ხელად სასახლეში გაგზნებით:

ბავშვი შეაჯდა ბატს, ის-კი უცებ მშვენიერ თეთრ ცხენად იქცა. ბავშვმა რომ დაინგდა ზედ, უფრო მეტად გაჰკვირდა: ისეთი კარგი ტანისამოსი ეცვა, ისე კოხტად იყო გამოწყობილი, რომ ასეთი ტანისამოსი თავის დღეში არსად ენახა.

— აბა, ასლა მაგრა დაჯექი და გაგსწიოთო, — უთხრა ცხენმა. ერთ წუთში მივიდნენ სასახლესთან. გამოეგებნენ კარის კაცები. მოახსენეს ხელმწიფეს: ვიდაც პატარა უცხო სტუმარი მოსულა და თქვენი ნახვა სურსო. მიიყვანეს ხელმწიფესთან. იმან ბავშვი მეტად აღურსიანად მიიღო, გამოჰკითხა მისი ქვეყნის ახლები. მერე უბრძანა თავის კარის კაცებს, რომ უც-



სო სტუმარს ჰატევისცემით და თავაზიანად მოჰურობოდნენ. წაიუვანეს ბავშვი და მოატარეს მთელი სასელმწიფო, ახვენეს ეველადფერი, რაც შესანიშნავი იყო. ხალსი ხალამს ამლევდა და იძახდა: გაუმარჯოს სელმწიფის სტუმარსაო. ეველს ამ სანახაობით ჩვენი ჰატარა თბოლი ძლიერ ნასიამოვნები დარჩა. ისე მოეწონა იქაურობა, რომ იქიდან წასვლა აღარ უნდოდა.

— მოდი სულაც აქ დავრჩებო, — გაიფიქრა გულში, მაგრამ ამ დროს მამა მოაგონდა.

— საწყალი მამა! — ამბობდა ის თავისთვის: — რომ აღარ დავბრუნდე, ის ძლიერ შეწუსდება. ისევ სჯობია ჩქარა წავიდე სასლში და მამა გაგახარო.

უცებ მოაგონდა თავისი ჰატარა სურჯინი.

— ჩემო კეთილო მეარეელო! — მიუბრუნდა გრძნეულ ბატს: — აბა, მანვე ეს ადგილი, სადაც მვირფასი ქვებია, და მერე წავიდეთ შინისკენ!



ბატმა წაიყვანა შუა ტყეში ერთ წუბაროს ჰირას. იქ ბღრძმად იყო გაბნეული სსვა-და-სსვა ნაირი ძვირფასი ქვები, ოქრო და ვერცხლი. ობოლმა ააფსო სურჯინის თვლები, გადავიდა მხარსე, მერე შეაჯდა ბატს და გამოსწიეს სასლისკენ.

როდესაც მივიდა სასლში და გამოცალა სურჯინის თვლები, მის დედინაცვალს სისარულით და სისარბით კინაღამ თვალები გადმოსცვივდა.

— სად იმოგნე ესენიო? — ჰკითხა ობოლს. იმხანც ვეველაფერი უამბო, როგორც იყო.

— მერე შე ასეთო, შე ისეთო, — დაუვეირა დედინაცვალმა: — იქ იმოღენა თვალ-მარგალიტი იყო, და შენ ამის მტეი ვერ წამოიღე?! წადი ამ წუთს, სადაც იყოს იზოვე ის ბატი, და უთხარ, ახლა მე წამიყვანოს: მე ბევრი უნდა მოვიტანო. თუ ასე არ მოიქცევი, წადი, დაიკარგე აქედან: თვალით აღარ დამენახო.

მისმა ძამამ სცადა ბაეშვის გამოქომაგება, მაგრამ საწვალმა ვერა გააწეო-რა.

წავიდა დაღონებული ობოლი ისევ ტბის ჰირას და თვალცრემლიანმა ცქერა დაიწეო ტბისკენ. დასეთ მის გაკვირვებას? ის ბატი ისევ ისე მოსცურაფდა, როგორც ჰირველად ნახა.

— რა გაგჭირებია, ჰატარაფ, რად დაღონებულხარ ასე? ჰკითხა ბატმა. ობოლმაც უამბო ვეველაფერი.

— უთხარი შენ დედინაცვალს, — მოვიდეს: იმხანც წავიყვან. განარებული ობოლი გამოიქცა და უთხრა თავის დედინაცვალს. ამხანც გამოხანხა ორი უშველებელი ტომარა, ჰირები ერთმანეთს მიაკერა და გააკეთა დიდი სურჯინი. გადაივიდა მხარსე და გაუღბა გზას. ბატმა ესეც წაიყვანა იმავე წუბაროსთან.

ამოღენა თვალ-მარგალიტის დანახვასე დედინაცვალს თვალები აუჭრელდა: აღარ იცოდა, რომელი ავეკრიფა და რომელი არა. აღარც ერთი ქვის ან ოქროს იქ დატოვება არ უნდოდა.

ბოლოს მისი ტომრებიც აივსო. ბატი-კი ურჩევდა: ძალიანს უაყვებს მაგ ტომრებს, თორემ გზაში სიფათი მოგკვივაო. დედაკაცს კი ამის გაგონებაც არ უნდოდა. პირიქით, იმაზე სწუსდა, რომ იქ კიდევ ბევრი დარჩა მკირფასი ქვები ჭეველა არ ჩავიდა იმის ტომრებში.



როგორც იყო, გამოემკვსაზრუნენ. შუა ზღვას რომ მიუხსლოვდნენ, ბატმა უთხრა: დიდედ, ცოტა მოაკელი მაგ შენ ტომრებს, თორემ ძალიან მძიმეა და ვეღარ შევძლებ ფრენასაო. „რას მივდამოვდები: სულელი ხომ არა ვარ, რომ მკირფასი ქვები ზღვაში გადავუაროო“, — უნასუსა მან.

ბატმა მეორედ და შესამედაც გააფრთხილა, მაგრამ იმან აინუნშიაც არ ჩაიკლო. ბოლოს ბატმა მართლა ვეღარ შესძლო და ძირს დაეშვა. ორივენი წყალში ჩაცვივდნენ. ტომრები, რასაკვირველია, თავის სიმძიმის გამო ზღვის ძირისკენ წავიდნენ. დედინაცვალის მათ გამოვდგენა და იმანაც წყალში ჩაიურეუშაღავა.

ბატმა გაიბერტვა ფრთები, ცოტა ხანს დაისვენა და მერე გასწია თავის გზაზე.

მაძა-შვილნი დიდხანს ელოდნენ დედინაცვალს. ბოლოს იმედი გადაიწევიტეს და დაიწვეს თავისთვის წუნარი ცხოვრება. გააკეთეს კარგი სახლი; მოაწვეს მძვენიერი ოჯახი და ცხოვრობდნენ ტკბილად.

გიორგი.



ჰიპ-ჰიპ-ჰიპ-ჰიპ!..



აზაფხულდა!.. ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!
აბიბინდა მინდორ-ველი;
ჰა, მხობილო, აქ მოფრინდი,
მოახლოვდი... მოძე სელი.

მუშაობის დადგა ჟამი...
ე, ბალახი, ე, ბუმბული;
ბუდე უნდა ავაშენოთ,
კოსტად შეკრულ-განასკული.

გაზაფხულდა!.. ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!...
ბუდეს კვერცხი დაამუყენებს;
შემდეგ ბარტეი თავს ამოჭეოფს,
განასარებს უველა ჩვენებს...

დავტრიალდეთ!.. ბუსი, ჭიპა—
ბეური არის მინდორ-ველად;

მოუზიდოთ ჩვენსა შვილებს,
სასუსნელად, კასაწრდელად!..

კასაფსუღდა!.. ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!..
შვილთ ვასწავლოთ მშობლის ენა;
შემდეგ ბუდით გადმოვლადლოთ,—
დავაფრინოთ ერთად ვეკლად.

ცაში ნავარდს დაიწეებენ,—
ეს დრო მოვა ერთობ ძაღუ,—
მშობლების გულს მოიკებენ,
იმათ თვალებს ვენაცვებუე!..

კასაფსუღდა!.. ჭიკ-ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!..
აბიბინდა მინდორ-ველი;
ჭე, მშობილო! აქ მოფრინდი,
მოახლოვდი, მოძე ხელი.

მუშაობის დადგა ჟამი;
ე, ბაღასი, ე, ბუმბული;
ბუდე უნდა ავაშენოთ,
კონსტად შეკრულ-განასკული!

დ. ელიოზიშვილი





ბრმა დედოფალა



უთი წლის ნინოს ჭკონდა მეტად ლამაზი, კომწი და თანაც შავ-თვალ-წარბა ჰატარა დედოფალა.

ერთ მშვენიერ დილას ნინომ შოინდომ მისი ჰირისასის სახნით დაბანა. ძართლაც აიტაცა სელში ნინომ დედოფალა, წმინდად დაბანა სახნით ჰირი, შეუმრალა ჰირსასოციო, და უნდოდა ჩაჭკო-

ნებოდა ტუჩებში საკოცნელად, რომ დამტკებარიყო მისი სილამა-
ხით, მაგრამ რას შედავს ამ დროს მისი თვლები: დედოფალას ჰირისასე სულ ერთიანად დაწრანჭოდა, ცალი თვლით დაბრძ-
ვებულიყო და წარბები სულ კადასცლოდა. დაურჩა ნინოს სელში მასინჯი დედოფალა. ამოუჯდა გული და შორთო ტირილი.

უცბად ნინოს თავს წამოაწედა უფროსი ძმა და შეეკითხა:
— რა კატორებს, ნინო?

— დედოფალა დამიბრძვედაო! — უნასუსა ნინომ.

შეათვალღერა ნინოს ძმამ დედოფალა და დაამშვიდა:

— ეკ არაფერია! შეგიძლია მიციცინცილო ექიმთან და ის მოგიჩინოსო!..

სასე დანამდვილებით უთხრა მამა ნინოს. ნინომ კერ კანი
გო—სუძრობდა მისი მამა, თუ მართლას ეუბნებოდა.

— სად არის ექიმი?—უცბად დაეკითხა ნინო.

— ექიმი ახლოს ცხოვრობს. ის არჩენს თვალ-მტკივნა
ხალსს.

ნინოს გაესარდა, რომ ექიმი მართლა ცხოვრობდა იქვე
ახლოს, და იმ წუთშივე შესწვიტა ქვითინი.

ნინოს მამა კი მობრუნდა და გავარდა თავის ტოლამხა-
ნაცებში სათამაშოდ.

ახლა გასარებულმა ნინომ დაიდო დედოფალა წინ კალ-
თასე და დაუწყო რწევა, თანაც ეუბნებოდა:

— ნუ სტირი, ნუ სტირი! სვალ წავიდეთ ექიმთან, და ის
მოგირჩენს თვალებსო.

მეორე დღეს ნინოს სულ გადაავიწვდა დედოფალას თვა-
ლების ტკივილი. იგი გავარდა ესოში სათამაშოდ. იქ უძვროსი
მამა მისი ვალოდია ზატარა რკინის ურემს აგორებდა და ძალ-
ზე ეზიდებოდა ქვა და მიწას.

ნინოს რომ ვალოდიამ თვალა მოჰკრა, მიამხა:

— ნინო, გამოიტანე შენი დედოფალა და გავატაროთ ამ
ურემშიო!

ნინო გამობრუნდა უკან დედოფალას გამოსატანად, მაკ-
რამ ამ დროს გაახსენდა, რომ იგი ცალი თვალით დაბრმა-
ვებული იყო და ერთ წუთს შეჩერდა; მერე მიამხა ვალო-
დიას:

— მე ძალე მოვალ, ვალოდია! მხოლოდ ექიმთან მივირ-
ბენ ცოტა ხნით.

ცქვიტად შევარდა სახლში, დასტაცა ნინომ ხელი დედო-
ფალას და სწრაფად გავარდა ქუჩაში.

სახლს, სადაც იდგა ექიმი, შესასვლელი კარები ღია ჰქონდა.
ნინო თამაზად ავიდა კიბეზე, მაკრამ უცბად შეჩერდა, რად-



საქართველოს
საქართველოს

ცასი შეემინდა; უნდობა უკანვე გამობრუნებულიყო, რომ დროს ძირს კარებთან გამოხნდა ნინოსთვის უცნობი კაცი.

— ვინ გინდათ თქვენ, გოგონა?— შეეკითხა უცნობი კაცი.

— მე... ექიმი.

— მობძანდით!.. - გაუძღვა წინ, გაუღო კარები და შეუშვა ნინო სასტუმრო ოთახში; თანაც ამ კაცს უკვირდა, თუ ასეთ ზატარა ბავშვს რა საქმე უნდა ჰქონდეს ექიმთან, რომ უფროსი არ ახლავსო.

სასტუმრო ოთახში ექიმს უცდიდნენ კიდევ სუთოდვე ავადმყოფი ქალი და კაცი. ერთ მათგანს თვალის კი ჰქონდა ახვეული.

ნინო ცოტა გათამამდა: იფიქრა—აქ მართლაც თვალის ექიმი იყოფილაო.

ნინომ ჰკითხა მათ: „სად არის ექიმი?“-ო.

ამ დროს მკორე ოთახიდან გამოვიდა გაჭაღარებული კაცი სათვალევებით, თეთრ ხალოთ-ჩაცმული.

— ეს არის ექიმიო!—უთხრეს ნინოს.

ნინო მკვირცხლად მივიდა ექიმთან და გაუწოდა თავისი ავადმყოფი დედოფალა.

— შენ რა გინდა, გოგონა?— ჰკითხა ექიმმა.

— მე... მე... თქვენთან მოვედი...

— შენ მარტო ხარ, თუ დედა გასლავს?

— მე... მარტო ვარ!

— მარტო? რა გტკივა?

— მე... ამ დედოფალს... თვალები...

— დედოფალს?

ავადმყოფი შემოესივნენ გოგონას.

ექიმმა გამოართვა დედოფალა, აიღო ხელში, შესება და გაეცინა.

ნინო უფრო გათამამდა.

— გუშინ... გუშინ მე ამას სახლით ჰირი დაუბანე, და
საცოდვად კი დაძობრძავდა!

ექიმმა გადმოსცა ნინოს სათვალეებიდან და შერე უცბად
უთხრა:

— ნუ გეშინია!... მე ამას ამ წამში მოვარჩენ. მივიდა იქვე
მაკიდასთან, აიღო საწერ-კალამი და სწრაყად გამოუსატა დე-
დოფალას ძელნით თვალები; თანაც წარბებიც შეულამაზა.

— უხად არის! წაიღე ფრთხილად; ჰირისასე ზევით ჰქონ-
დეს. საღამომდი სელი არ ახლო; საღამოს კი შეკიძლია ათა-
მამო; მხოლოდ დაბანით კი — ჰირი არასოდეს არ დაბანო...

— არ დაუბან! — უზახუხა ნინომ.

მან გამოართვა დედოფალა; მადლობის თქმაც კი დაბვი-
წედა, ასეთი სინარულით ჩამოირბინა კიბეზე და მოჭკურცხლა
სახლისაკენ. ექიმმა და იქ შეოფმა ავადმყოფებმა გააუოლეს
თვალი და მის ასეთ ქცევასე ხარხარი მორთეს.

სახლში ნინომ მოუგვა ეველას, თუ როგორ მოურჩინა
ექიმმა მის დედოფალას თვალები.

დედოფალა ახლაც კი ცოცხალია და ჯანმრთელად გამოი-
ურება.

ლევან გმელიძე





— მითხველის — — წერილები. —

თამარის დღეობა

(წერილი ბაქოდან)



არასკვეს, ჰირველ მაისს, იყო დღეობა სა-
ქართველოს მეფისა, ბრწყინვალე და დიდებული
თამარისა. თამარ მეფეს ხვენ ახლა ვერ ვხედავთ:
ის ზეცაშია, მაგრამ იმისი უკვდავი სახელი
არ უნდა დავივიწყოთ და ჰატივი უნდა ვსცეთ.

დილით სკოლაში ჩვეულებრივ დროს. შევიკრიბეთ და
ჰირველი ორი გაკვეთილი ვისწავლეთ. მესამე გაკვეთილზე
მასწავლებლებმა უკვლა განყოფილების მოწაფეები შეგკრი-
ბეს დერეფანში და რიგ-რიგად დაგვაწვეეს. ერთობოდათ—სად-
ღაც უნდა წავეუვანეთ სასეირნოდ.

წასვლის წინ მასწავლებლებმა აგვისსენეს, თუ ვისი დღე-
ობა არის დღეს, ვინ იყო ბრწყინვალე და დიდებული თამარი.
„ჩვენც უნდა ვიუქმოთ დღეს და ვახსენოთ იმისი სახელიო.“
ამის შემდეგ კვამლერეს სხვა-და-სხვა სიმღერები, გვათქმევინეს
ზეპირად ლექსები: „სისმარი“, „ქართველის დედას.“ და სხვა.

ბოლოს გავეძგზავრეთ სასეირნოთ ჯერ ბაღებში, მერე კი
„ქალწულის კოშკისაკენ.“ როცა კოშკში შევედით, იქ ისე ბნელო-
და, რომ ადამიანი ვერაფერს კაბრეკდა. აქ ჩვენ კოშკის დარბაზი
გაკვიძლვა წინ ვიწრო და დასვეულ კიბეზე. როცა მძლვა
ავედით, მასწავლებელმა აგვისსენა, თუ რას შერებოდნენ ამკვარ
ციხეებში ჩვენი წინაპრები, ქართველი მეომრები, დიდი თამა-

რისა და სხვა დროს, როგორ გპირულად იცავდნენ სამშობლოს უბედურებისაგან.

ჩვენ თვალწინ გაბმლილი იყო კასპიის ზღვა. ზღვაზე დაუუსფუსებდნენ შრავალი გემები და ნაუკები. ნაპირიდან ცოტა მოშორებით მოსჩანდა კუნძული „ნარეკნი.“ იმას გარშემო სულ ზღვა ერტვა. უფრო ახლოს—კი, დასავლეთ მხარეზე, ზღვაში შეჭრილიყო ნახევარკუნძული „ბაილოვი.“ მე მაშინ კარგად წარმოვიდგინე—რა უოფილა კუნძული და ნახევარკუნძული.


აღმოსავლეთით დავინახეთ ნავთის „კოშკების“ მთელი ტყე. მასწავლებელმა გვითხრა: „ეს არის „ბაღსანანა.“ იმ ალაგას ცა კვაბლით იყო გაბურული. ასე გვეკონა, თითქოს რაღაცა იწვის და იმისი ბოლი ადისო; მაგრამ მასწავლებელმა აგვისნა, რომ იქ შრავალი ქარსებია, და ამ ქარსების საკვაბლე მიღებიდან ამოდის ეკ კვაბლიო.

შემდეგ ჩამოვედით ციხიდან და იქვე მოედანზე ვიცეკვეთ და ვიკალობეთ. ამის შემდეგ წამოვედით სკოლაში და დავიხვეწეთ ჩვენ-ჩვენს კლასებში. ამ დახვეწების დროსაც გვქონდა ცოტა ბანსი მასწავლებლის დასმარებით. ბოლოს დაგვირიტეს საჩუქრად ტებილეულობა.

ასე მსიარულად გავატარეთ დიდებული დღე. შემდეგ ძლიერ ნასიამოვნები წავედით სასლში ნაშუადღევის 2 საათზე. როცა მინ დავბრუნდით, დედ-მამას ეველაფერი უაბმეთ, თუ როგორ გავატარეთ ბრწეინვალე თამარის დიდებული დღე...

ბაქოს ქართული სკოლის შესამე განყოფილების მოწაფე

ზინა ცხველიანი.



უმეოფირულეა

გავიგეთ, რომ ხვენი ძმები აჭარლები ახლა ძალიან გაჭირვებულნი არიან. გვიხავენით 2 მანეთს და 6 შაურს იმათ დასახმარებლად. **ნინო, მერაბ და თამარ კვიციანი.**

რედაქციამ მიიღო ვალენტინა ლომთათიძისაგან აჭარლების სასარგებლოდ ათი შაური.



რეკლამები

(წარმოდგენილი ნაკოსაცან).



დ,

პატარა
ბიკის
სახელი



7



„

აღ



„

მე-9 №-ში მოთავსებულ შარადის და ამოსაყენობის აღსნა:

1, სიმღერა,—2, არი.

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“ № 10

წელიწადი მეთვრამეტე

ჟურნალი ნაკადული გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვირგვამ.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრები“, —სამეგრელოში შეკრებილი იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. ნახევარ წლით—3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მ.**, მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.**, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7 მ.**, ნახევარი წლით **4 მ.**

ვისთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პრ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სისახლის ქ. **ქუთაისში** — ისილორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავარიშვილთან. **სამტრედიაში** — ვლ. ნაცვალაძისთან. **ფოთში** — თეოდოლე კანდელაკთან და კ. თელიასთან. **ბათომში** — ტროფიმ ინასარიძისთან, ფასტაში, ჭ ანასტასია ლომინაძისთან. **ოზურგეთში** ჭ **ლანჩხუთში** — ლეო იმნაძისთან. **თელავში** — ვანო ჰაბაძეშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში** — ნინო გელაშვილთან. **გორში** — ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ქიათურაში** — ივ. გომელაურთან. **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან. **აღმ. ქსანდროპოლში** — ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში** — სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში** — მ. ი. ქავჭავაძისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.